# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 5

ქ. ცაგერი                                                                                                                              იანვარი 2021 წ

ერთი მხრივ - სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტი (ს/კ 242574460; მის:ქ.ცაგერი.რუსთაველის ქ.N58) (შემდგომში შემსყიდველი) მერის ავთანდილ უგრეხელიძის სახით, და მეორე მხრივ - **შპს „მარმენიო**"(ს/კ 404922893; მის. ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას II კვ., კორ.22, ბ.12)(შემდგომში მიმწოდებელი) დირექტორის დიანა ხოშანიდის სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „მარშრუტი" - ავტოსატრანსპორტო საშუალების მიერ საწყისი წერტილიდან ბოლო წერტილამდე (გასავლელი პუნქტების ერთობლიობა) მიყვანას და უკან (გარდა პანსიონატებისა, სადაც მარშრუტად ითვლება მხოლოდ წაყვანა ან მხოლოდ წამოყვანა). დანართ #1-ში მოცემული საორიენტაციო კილომეტრაჟი ითვალისწინებს როგორც ბავშვების წაყვანის, ასევე მათი მოყვანის დისტანციას.
1.8. „ზღვრული სამარშრუტო რაოდენობა" - დანართი №1-ით განსაზღვრული, ერთ მარშრუტზე გადასაყვანი მოსწავლეების მაქსიმალური რაოდენობა, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება მარშრუტების სრული რაოდენობა.
1.9. „გზა" - კონკრეტულ მარშრუტზე ერთი სატრანსპორტო საშუალებით განხორციელებული მოსწავლეების მიყვანა ან წამოყვანა. გზების რაოდენობას განსაზღვრავს მიმწოდებელი მოსწავლეთა რაოდენობის, შესაბამისი ტრანსპორტის ტევადობისა და უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ცაგერის მუნიციპალიტეტის **საჯარო სკოლ(ებ)ის მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურება** (CPV: 60100000) შესყიდვა.

3. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

3.1. საჯარო სკოლის მოსწავლეთა ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაყვანის მომსახურება უნდა განხორციელდეს წინასწარ დადგენილი მარშრუტის მიხედვით ტექნიკურად გამართული, შესაბამისი მოცულობისა და რაოდენობის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით. ტრანსპორტირებისას დაცული უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი უსაფრთხო გადაადგილების ყველა ნორმა. ტრანსპორტირებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს ისეთი პირობები, რომელიც გამორიცხავს მოსწავლეთა ჯანმრთელობის ზიანს. ასევე, მოსწავლეთა ტრანსპორტირებისას ავტოსატრანსპორტო საშუალება აღჭურვილი უნდა იყოს სპეციალური ნიშნით, რომელიც მიუთითებს, რომ ხორციელდება ბავშვების გადაყვანა.

3.2. კონკრეტულ მარშრუტზე სატრანსპორტო საშუალების ტევადობა უნდა შეესაბამებოდეს სატრანსპორტო საშუალებაში სტაციონარულად დამონტაჟებულ სკამებზე დამჯდარ მდგომარეობაში გადასაყვან მოსწავლეთა რაოდენობას. მარშრუტების რაოდენობა და სატრანსპორტო საშუალების ტევადობა შესაბამისობაში უნდა იყოს გადასაყვან მოსწავლეთა რაოდენობასთან.

3.3. მოსწავლეთა სკოლაში მიყვანა უნდა განხორციელდეს სასწავლო პროცესის დაწყებამდე არაუგვიანეს 5 წუთისა და არაუადრეს 40 წუთისა. ხოლო სკოლიდან წამოყვანა უნდა განხორციელდეს სასწავლო პროცესის დასრულებიდან - არაუგვიანეს 40 წუთისა.

3.4. ავტოსატრანსპორტო საშუალებებს უნდა მართავდნენ შესაბამისი მართვის უფლების მქონე მძღოლები.

3.5. სატრანსპორტო საშუალებით მოსწავლეთა გადაყვანის მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულებაში მითითებული პირობების დაცვით.

3.6. ავტოსატრანსპორტო საშუალება უნდა მოძრაობდეს იმ მარშრუტის შესაბამისად, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების დანართში.

3.7. მომსახურების გაწევის ადგილია საქართველო: ცაგერის მუნიციპალიტეტი (დანართ N1-ში მითითებული მარშრუტების შესაბამისად).

3.8. იმ შემთხვევაში თუ კონკრეტულ მარშრუტზე დაემატება გადასაყვანი მოსწავლე(ებ)ი, იმ რაოდენობით, რომ იგი გადააჭარბებს დანართი №1-ით დადგენილ ზღვრულ სამარშრუტო რაოდენობას, აღნიშნული გამოიწვევს ახალი მარშრუტის დამატებას. ახალი მარშრუტის ღირებულების დაანგარიშება განხორციელდება ფასების ცხრილში დაფიქსირებული ერთი სამარშრუტო კილომეტრის ფასისა და მარშრუტის კილომეტრაჟის გათვალისწინებით.

3.9. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, საჭიროებიდან გამომდინარე (მოსწავლის არსებულ მარშრუტებით სკოლამდე მიყვანა მიზანშეწონილი არ არის მარშრუტების ოპტიმიზაციისა და რაცინალური ხარჯვის პრინციპის გათვალისწინებით) ადგილობრივი რესურსცენტრის თანხმობის საფუძველზე, შესყიდვის ხელშეკრულებაში დაამატოს ახალი მარშრუტი, რომლის ღირებულებაც გამოითვლება ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული ერთი სამარშრუტო კილომეტრის ფასისა და მარშრუტის კილომეტრაჟის გათვალისწინებით, ხოლო მარშრუტების რაოდენობა გამოითვლება ზღვრული სამარშრუტო რაოდენობის შესაბამისად.

3.10. მომსახურების ვადა: **2021 წლის 01 თებერვლიდან 2021 წლის 19 თებერვლის ჩათვლით, სასწავლო დღეების შესაბამისად.**

3.11. სატრანსპორტო მომსახურების გაწევის პერიოდში მიმწოდებელსა და სადაზღვევო კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, სადაზღვევო კომპანიის მიერ განხორციელებული იქნება მგზავრთა გადაყვანის პროცესში

მოსწავლეების (მგზავრების) დაზღვევა, ერთ მოსწავლეზე 1500 (ერთიათასხუთასი) ლარის ოდენობის სადაზღვევო თანხის ლიმიტით.
3.12. მსოფლიოში შექმნილი პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე, მიმწოდებელი ვადლებულია უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უსაფრთხოების წესების დაცვა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ან/და შესაბამისი სხვა უწყებების მითითებების შესრულება, მათ შორის:
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებით დამტკიცებული ,,იზოლაციისა და კარანტინის წესები''
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის N368 დადგენილებით დამტკიცებული ,,პირბადის ტარების წესი''
- მიმწოდებელმა სატრანსპორტო საშუალებაში ასვლამდე, უნდა უზრუნველყოს მოსწავლეების თერმოსკრინინგი. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად სატრანსპორტო საშუალება აღჭურვილი უნდა შესაბამისი მოწყობილობით მიმწოდებლის მიერ.

4. ხელშეკრულების ღირებულება
4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **24972,19 (ოცდაოთხიათასცხრაასსამოცდა - თორმეტი ლარი და ცხრამეტი თეთრი)** ლარს.
4.2. ერთეულის ფასები შესაბამისი საჯარო სკოლებისა და მარშრუტების მიხედვით გაწერილია დანართი N1-ში.
4.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს (მათ შორის დღგ-ს).

5. ანგარიშსწორება
5.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში, კონკრეტული მარშრუტის ერთი გზის ღირებულებისა და ფაქტობრივად განხორციელებული (შესრულებული) გზების რაოდენობის გათვალისწინებით. შემსყიდველი ორგანიზაცია არ ანაზრაურებს ხარვეზით შესრულებული გზის ღირებულებას.
5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება თვეში ერთხელ (თუ ურთიერთშეთანხმებით სხვა ვადები არ არის დადგენილი), ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
5.3. წინამდებარე ხელშეკრულება არ ითვალისწინებს წინასწარ ანგარიშსწორებას.
5.4. წინამდებარე ხელშეკრულების დანართ #1-ში განსაზღვრულია მარშუტების სავარაუდო კილომეტრაჟი, იმ შემთხვევაში თუ დანართ #1-ით განსაზღვრულ მარშრუტის კილომეტრაჟსა და რეალურ კილომეტრაჟს შორის განსხვავება არ აღემატება 20%-ს, ანგარიშსწორება ხორციელდება დანართი#1-ით გათვალისწინებული მარშრუტის ღირებულებისა და განხორციელებული გზების რაოდენობის შესაბამისად, ხოლო 20%-ზე მეტით განსხვავების შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან ურთიერთშეთანხმებით შეიტანონ ცვლილება დანართ #1-ში და აღნიშნული ცვლილების შესაბამისად განახორციელონ მომსახურების მიწოდება და შესაბამისად ანგარიშსწორება.
5.5. ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ასანაზღაურებელი თანხის ოდენობის 0.02%.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობები
6.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გაუწიოს სატრანსპორტო მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ტრანსპორტი (ავტობუსი, მიკრო ავტობუსი, მსუბუქი ავტომობილი, მსუბუქი მაღალი გამავლობის ავტომობილი,

მინივენი) თითოეული პუნქტისათვის უნდა შეირჩეს გადასაყვან მოსწავლეთა რაოდენობისა და ადგილის რელიეფის შესაბამისად. დაცული უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი უსაფრთხო გადაადგილების ყველა ნორმა. ტრანსპორტირებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს ისეთი პირობები, რომელიც გამორიცხავს მოსწავლეთა ჯანმრთელობის ზიანს. ასევე, მოსწავლეთა ტრანსპორტირებისას ავტოსატრანსპორტო საშუალება აღჭურვილი უნდა იყოს სპეციალური ნიშნით, რომელიც მიუთითებს, რომ ხორციელდება ბავშვების გადაყვანა.

6.2. მიმწოდებელი ვალდებულია გაწეული მომსახურების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარუდგინოს ადგილობრივ მუნიციპალიტეტს.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია გააცნოს ყველა მძღოლს ავტომობილის ტექნიკური გამართულობისა და მოძრაობის უსაფრთხოების ნორმები და უზრუნველყოს მათი განუხრელი დაცვა.

6.4. თუ მიმწოდებელი ვერ ან არ ასრულებს კონკრეტული მარშრუტით გათვალისწინებულ მომსახურებას იგი ვალდებულია 1 სამუშაო დღით ადრე აცნობოს შემსყიდველ ორგანიზაციას. აღნიშნულ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია სატენდერო კომისიის თანხმობის საფუძველზე მთლიან პერიოდზე (ვიდრე მიმწოდებელი არ უზრუნველყოფს მის შესრულებას) განახორციელოს სხვა მიმწოდებლისაგან მომსახურების შესყიდვა.

6.5. შემსყიდველი ან შემსყიდველის მითითებით საჯარო სკოლა უფლებამოსილია მიმწოდებლის წინასწარი გაფრთხილების გარეშე მოახდინოს სხვა მიმწოდებელისაგან მომსახურების შესყიდვა, თუ მიმწოდებელი ვერ ან არ ასრულებს მარშრუტით გათვალისწინებულ მომსახურებას.

6.7. იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული მარშრუტით გათვალისწინებულ მომსახურებას ახორციელებს სხვა მიმწოდებელი, მაგრამ კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებელს აქვს შესაძლებლობა განახორციელოს მარშრუტით გათვალისწნებული მომსახურება, აღნიშნულის თაობაზე მიმწოდებელი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით აცნობებს შემსყიდველს. შემსყიდველი მიღებული წერილის საფუძველზე, ორი სასწავლო დღის ვადაში, ახდენს სხვა მიმწოდებლის მეშვეობით მომსახურების შეწყვეტას.

6.8. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

6.9. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

6.10. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

6.11. სასწავლო დღის განმავლობაში ერთი სატრანსპორტო საშუალებით მოსწავლეთა ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს არაუმეტეს 8 გზისა.

6.12. ხელშეკრულების მიმდინარეობის პერიოდში, მიმწოდებელი უფლებამოსილია კონკრეტულ მარშრუტზე შეცვალოს გზების რაოდენობა. ერთი გზის ღირებულება განისაზღვრება დანართი 1-ის მიხედვით, დღიური სამარშუტო ღირებულების გზების რაოდენობაზე შეფარდებით. აღნიშნულ შემთხვევაში დაუშვებელია მარშრუტის ღირებულების ზრდა.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტისა და ფინანსური დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

7.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძვლებია:

ა) მიმწოდებელსა და საჯარო სკოლების ადმინისტრაციას შორის გაფორმებული და ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი (უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ) ტაბელი (დანართი N2 ტაბელის ფორმა), რომელიც ივსება ყოველდღიურად და შემსყიდველს წარედგინება მომსახურების დასრულებიდან გონივრულ ვადაში.

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ წარდგენილი დასკვნა.
7.3. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება მიმწოდებლის მიერ ტაბელების წარმოდგენიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
8.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი უფლებამოსილი პირი, აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - საგანმანათლებლო რესურსცენტრების საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები.
8.2. შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი უფლებამოსილი პირი ვალდებულია ყოველი თვის ბოლოს, საჯარო სკოლებთან შეამოწმოს (გადაამოწმოს) მიმწოდებლის მიერ განხორციელებული მომსახურება და წერილობითი ფორმით აცნობოს შემსყიდველს (მუნიციპალიტეტს) შემოწმების შედეგების შესახებ.
8.3. სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-ს უფლებამოსილი პირი ვალდებულია შეადგინოს შესაბამისი დასკვნა (წერილობითი ფორმით), რომელშიც აღნიშნული იქნება მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დეფექტები და ხარვეზები.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
8.5. მიმწოდებელი ვალდებულია შემდგომი მომსახურების პერიოდში უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

9. ინტერესთა კონფლიქტი
საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის
ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში ,,მიმწოდებელთან“.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
10.1. ფორს-მაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო შემდეგი პრინციპით:
ა) ყოველი გზის ხარვეზით განხორციელებისას ან განუხორციელებლობისას, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხარვეზით განხორციელებული ან განუხორციელებელი გზის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების 50%-ის ოდენობით.
ბ) იმ შემთხვევაში, როდესაც მიმწოდებელი ვეღარ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოვალეობას (ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობის გზების გაცდენის ან/და ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში კონკრეტული მარშრუტის 10- ჯერ გაცდენის ან/და ხარვეზით შესრულების შემთხვევა), აღნიშნული განიხილება, როგორც ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულება და შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

გ) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) მომსახურების ღირებულების 20%-ის ოდენობით.

დ) იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვადაზე ადრე მოითხოვს ხელშეკრულების შეწყვეტას აღნიშნული განიხილება, როგორც ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულება.
10.2. პირგასამტეხლოს გადახდა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველი მიერ წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან ერთი თვის ვადაში.
10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.4. „ხარვეზი" - მომსახურების შესრულების ხარვეზად ჩაითვლება თუ:
მოსწავლეთა სკოლაში მიყვანა განხორციელდება სასწავლო პროცესის დაწყებამდე 5 წუთის დაგვიანებით ან მოსწავლეთა სკოლაში მიყვანა განხორციელდება სასწავლო პროცესის დაწყებამდე 40 წუთით ადრე;
მოსწავლეთა სკოლიდან წამოყვანა განხორციელდება სასწავლო პროცესის დასრულებიდან 40 წუთის დაგვიანებით.
თუ სატრანსპორტო საშუალების ტევადობა ნაკლები იქნება გადასაყვან მოსწავლეთა რაოდენობაზე.
თუ ხელშეკრულებით გათვალიწინებული წინასწარ დათქმული ადგილებიდან საჯარო სკოლამდე და სკოლიდან უკან მოსწავლეების გადაყვანა არ განხორციელდება ხელშეკრულების დანართში მითითებული კონკრეტული მარშრუტების მიხედვით და თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება საწყისი წერტილიდან ბოლო წერტილამდე არ გაივლის კონკრეტულ მარშრუტში მითითებულ ყველა პუნქტს.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა
11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.
11.2. მხარეებს, სადაო საკითხების შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

12. ფორს-მაჟორი
12.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა/ხარვეზით შესრულება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციების გამოყენებას.
12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.
12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
13.1. დადებული ხელშეკრულების ღირებულება შესაძლებელია შეიცვალოს ახალი მარშრუტების დამატების, არსებული მარშრუტების ოპტიმიზაციის ან/და გაუქმების ან/და გადასაყვან მოსწავლეთა რაოდენობის ცვლილების გათვალისწინებით.
13.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა 10%-ის ფარგლებში შესაძლებელია ადგილობრივ რესურსცენტრთან შეთანხმების საფუძველზე.

13.3. იმ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველი და მიმწოდებელი ხელშეკრულების ცვლილების საფუძველზე განსაზღვრავენ ახალი/ შეცვლილი მარშრუტის გრაფიკს ან გააუქმებენ კონკრეტულ მარშრუტს, მიმწოდებელმა წარმოდგენილი ცვლილება უნდა გაითვალისწინოს მომდევნო სამუშაო დღიდან.
13.4. იმ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველი წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიმწოდებელს განუსაზღვრავს ახალი/შეცვლილი მარშრუტს ან გააუქმებს კონკრეტულ მარშრუტს, მიმწოდებელმა წარმოდგენილი ცვლილება უნდა გაითვალისწინოს მომდევნო სამუშაო დღიდან.
13.5. შემსყიდველი უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს მარშრუტების ოპტიმიზაციას, რომლის ფარგლებშიც კონკრეტული მარშრუტები შეიძლება გაუქმდეს როგორც მომსახურების დაწყებამდე, ასევე, მომსახურების დაწყების შემდეგ.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2021 წლის 31 მარტის ჩათვლით,** მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

15. სხვა პირობები
15.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.
15.2. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
15.3. მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის წერილობითი ურთიერთობა ხორციელდება, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით, მათ შორის, მხარეთა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით:

მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები:

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტი

ს/კ 242574460

TSAGERI MUNICIPALITY

Digitally signed by TSAGERI MUNICIPALITY
Date: 2021.01.28 13:37:58 +04'00'

/ა.უგრეხელიძე/

შპს „მარმენიო“

ს/კ 404922893

ltd marmenio

Digitally signed by ltd marmenio
Date: 2021.01.28 13:13:00 +04'00'

/ დიანა ხოპშანიდი/

| მიმართულების N | სკოლა | მიმართულება | დრო | მარშრუტი | მოსწავლეების რაოდენობა | *სავარაუდო მანძილი კმ. | სავარაუდო დღეების რაოდენობა კონტრაქტის პერიოდში | შენიშვნა | **მიმართულების ღირებულების კოეფიციენტი | მიმართულების ღირებულება დღე | მიმართულების სრული საორიენტაციო ღირებულება | ****გზები | 1 გზის ფასი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სოფელ ლაცორიის საჯარო სკოლა | სკოლაში წაყვანა | 8:40 | უსახელო - ხოჯი - ლაცორიის საჯარო სკოლა | 8 | 4.50 | 15 | | 1 | 16.88 | 253.13 | 1 | **16.88** |
| 2 | | სკოლიდან წამოყვანა | 15:20 | | 8 | 4.50 | 15 | | 1 | 16.88 | 253.13 | 1 | **16.88** |
| 3 | | სკოლაში წაყვანა | 9:00 | ორბელი - ლაჯანა - ლაცორიის საჯარო სკოლა | 5 | 5.25 | 15 | | 1 | 19.69 | 295.31 | 1 | **19.69** |
| 4 | | სკოლიდან წამოყვანა | 12:40 | | 2 | 5.25 | 15 | | 1 | 19.69 | 295.31 | 1 | **19.69** |
| 5 | | სკოლიდან წამოყვანა | 15:40 | | 3 | 5.25 | 15 | | 1 | 19.69 | 295.31 | 1 | **19.69** |
| 6 | სოფელ ლასურიაშის საჯარაო სკოლა | სკოლაში წაყვანა | 8:45 | მახაში-ნაბოგირების უბანი - ლასურიაშის საჯარო სკოლა | 13 | 3.50 | 15 | | 1 | 13.13 | 196.88 | 1 | **13.13** |
| 7 | | სკოლიდან წამოყვანა | 15:00 | | 13 | 3.50 | 15 | | 1 | 13.13 | 196.88 | 1 | **13.13** |
| 8 | | სკოლაში წაყვანა | 9:00 | დეხვირი - ლასურიაშის საჯარო სკოლა | 5 | 3.00 | 15 | | 1 | 11.25 | 168.75 | 1 | **11.25** |
| 9 | | სკოლიდან წამოყვანა | 15:00 | | 5 | 3.00 | 15 | | 1 | 11.25 | 168.75 | 1 | **11.25** |
| 10 | | სკოლაში წაყვანა | 8:45 | ლესინდი-ლასურიაშის საჯარო სკოლა | 3 | 7.50 | 15 | | 1 | 28.13 | 421.88 | 1 | **28.13** |
| 11 | | სკოლიდან წამოყვანა | 15:05 | | 3 | 7.50 | 15 | | 1 | 28.13 | 421.88 | 1 | **28.13** |
| 12 | სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლა | სკოლაში წაყვანა | 9:20 | ზედა ლუხვანო - ლუხვანო - ჭალისთავი - ქვედა ცაგერის საჯარო სკოლა | 15 | 8.00 | 15 | | 1 | 30.00 | 450.00 | 1 | **30.00** |
| 13 | | სკოლიდან წამოყვანა | 15:20 | | 15 | 8.00 | 15 | | 1 | 30.00 | 450.00 | 1 | **30.00** |
| 14 | | სკოლაში წაყვანა | 9:20 | ზარაგულა - ქვედა ლუხვანო - ჭალისთავი - ქვედა ცაგერის საჯარო სკოლა | 3 | 6.00 | 15 | | 1 | 22.50 | 337.50 | 1 | **22.50** |
| 15 | | სკოლიდან წამოყვანა | 15:20 | | 3 | 6.00 | 15 | | 1 | 22.50 | 337.50 | 1 | **22.50** |
| 16 | სოფელ ალპანის საჯარო სკოლა | სკოლაში წაყვანა | 9:25 | ზედა ალპანა - ალპანის საჯარო სკოლა | 20 | 4.00 | 15 | | 1 | 15.00 | 225.00 | 1 | **15.00** |
| 17 | | სკოლიდან წამოყვანა | 15:55 | | 20 | 4.00 | 15 | | 1 | 15.00 | 225.00 | 1 | **15.00** |
| 18 | | სკოლაში წაყვანა | 9:15 | ლაზარეთის უბანი - ზოგიში - ალპანის საჯარო სკოლა | 5 | 4.00 | 15 | | 1 | 15.00 | 225.00 | 1 | **15.00** |
| 19 | | სკოლიდან წამოყვანა | 16:15 | | 5 | 4.00 | 15 | | 1 | 15.00 | 225.00 | 1 | **15.00** |
| 20 | | სკოლაში წაყვანა | 9:05 | საირმე-ალპანის საჯარო სკოლა | 1 | 7.00 | 15 | | 1 | 26.25 | 393.75 | 1 | **26.25** |
| 21 | | სკოლიდან წამოყვანა | 16:25 | | 1 | 7.00 | 15 | | 1 | 26.25 | 393.75 | 1 | **26.25** |
| 22 | | სკოლაში წაყვანა | 8:50 | ალვი - ლარჩვალი - ბარდნალის საჯარო სკოლა | 15 | 6.00 | 15 | | 1 | 22.50 | 337.50 | 1 | **22.50** |
| 23 | | სკოლიდან წამოყვანა | 14:25 | | 10 | 6.00 | 15 | | 1 | 22.50 | 337.50 | 1 | **22.50** |

| ვაჭრობა იმართება სამარშრუტო კმ.-ის ფასზე. კმ.-ის ფასი დამრგვალებული უნდა იყოს უახლოეს მეასედამდე. ცხრილში შეცვლას ექვემდებარება მხოლოდ კმ.-ის ფასი და გზების რაოდენობა |
|---|
| ***სამარშრუტო კილომეტრის ფასი |
| **3.75** |
| ჯამური ღირებულება |
| **24972.19** |
| მოსწავლეთა ჯამური რაოდენობა |
| **265** |
| ჯამური დღიური სამარშრუტო კილომეტრაჟი |
| **443.95** |
| ჯამური წლიური სამარშრუტო კილომეტრაჟი |
| **6659.25** |

| *სავარაუდო მანძილი კმ. |
|---|
| მოცემული საორიენტაციო კილომეტრაჟი ითვალისწინებს მიმართულების სავარაუდო დისტანციას A პუნქტიდან B პუნქტამდე (ერთხელ). |

| **მიმართულების ღირებულების კოეფიციენტი |
|---|
| მიმართულების ღირებულების კოეფიციენტი განისაზღვრება გადასაყვანი ბავშვების რაოდენობით. ყოველ ოც ბავშვზე კოეფიციენტი იმატებს ერთი ერთეულით. მაგ: 1-დან 20 მოსწავლის ჩათვლით მიმართულების ღირებულების კოეფიციენტი იქნება ერთი. 21-დან 40 მოსწავლის ჩათვლით კოეფიციენტი იქნება 2 და.ა.შ. კოეფიციენტი გამოიყენება როგორც ფასწარმოქმნის მექანიზმი და არ ზღუდავს მიმწოდებელს გზების რაოდენობის განსაზღვრისას. (მიმართულების ღირებულების |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24 | ლადო ასათიანის სახელობის სოფელ ბარდნალის საჯარო სკოლა | სკოლიდან წამოყვანა | 15:25 | | 5 | 6.00 | 15 | | 1 | 22.50 | 337.50 | 1 | **22.50** |
| 25 | | სკოლაში წაყვანა | 9:00 | ჭალისთავი - ბარდნალის საჯარო სკოლა | 2 | 4.50 | 15 | | 1 | 16.88 | 253.13 | 1 | **16.88** |
| 26 | | სკოლიდან წამოყვანა | 13:15 | | 1 | 4.50 | 15 | | 1 | 16.88 | 253.13 | 1 | **16.88** |
| 27 | | სკოლიდან წამოყვანა | 14:45 | | 1 | 4.50 | 15 | | 1 | 16.88 | 253.13 | 1 | **16.88** |
| 28 | | სკოლაში წაყვანა | 9:00 | ზედა წიფერჩი - ბარდნალის საჯარო სკოლა | 2 | 2.00 | 15 | | 1 | 7.50 | 112.50 | 1 | **7.50** |
| 29 | | სკოლიდან წამოყვანა | 15:00 | | 1 | 2.00 | 15 | | 1 | 7.50 | 112.50 | 1 | **7.50** |
| 30 | | სკოლიდან წამოყვანა | 13:20 | | 1 | 2.00 | 15 | | 1 | 7.50 | 112.50 | 1 | **7.50** |
| 31 | ქალაქ ცაგერის საჯარო სკოლა | სკოლაში წაყვანა | 9:20 | გვესო-ცაგერის საჯარო სკოლა | 12 | 2.50 | 15 | | 1 | 9.38 | 140.63 | 1 | **9.38** |
| 32 | | სკოლიდან წამოყვანა | 14:10 | | 6 | 2.50 | 15 | | 1 | 9.38 | 140.63 | 1 | **9.38** |
| 33 | | სკოლიდან წამოყვანა | 16:00 | | 6 | 2.50 | 15 | | 1 | 9.38 | 140.63 | 1 | **9.38** |
| 34 | | სკოლაში წაყვანა | 9:15 | სოფელი ჩხუტელის კლდისძირის დასახლება - თვარაძეების უბანი - ცაგერის საჯარო სკოლა | 5 | 3.50 | 15 | | 1 | 13.13 | 196.88 | 1 | **13.13** |
| 35 | | სკოლიდან წამოყვანა | 13:00 | | 1 | 3.50 | 15 | | 1 | 13.13 | 196.88 | 1 | **13.13** |
| 36 | | სკოლიდან წამოყვანა | 15:05 | | 4 | 3.50 | 15 | | 1 | 13.13 | 196.88 | 1 | **13.13** |
| 37 | სოფელ დეხვირის საჯარო სკოლა | სკოლაში წაყვანა | 9:20 | ზედა დეხვირი - დეხვირის საჯარო სკოლა | 7 | 4.00 | 15 | | 1 | 15.00 | 225.00 | 1 | **15.00** |
| 38 | | სკოლიდან წამოყვანა | 15:30 | | 7 | 4.00 | 15 | | 1 | 15.00 | 225.00 | 1 | **15.00** |
| 39 | სოფელ ჩქუმის საჯარო სკოლა | სკოლაში წაყვანა | 9:20 | ქულბაქი-ჩქუმის საჯარო სკოლა | 7 | 6.00 | 15 | | 1 | 22.50 | 337.50 | 1 | **22.50** |
| 40 | | სკოლიდან წამოყვანა | 12:30 | | 3 | 6.00 | 15 | | 1 | 22.50 | 337.50 | 1 | **22.50** |
| 41 | | სკოლიდან წამოყვანა | 15:00 | | 4 | 6.00 | 15 | | 1 | 22.50 | 337.50 | 1 | **22.50** |
| 42 | სოფელ ორბელის საჯარო სკოლა | სკოლაში წაყვანა | 8:50 | კინიშერი-ორბელის საჯარო სკოლა | 3 | 3.00 | 15 | | 1 | 11.25 | 168.75 | 1 | **11.25** |
| 43 | | სკოლიდან წამოყვანა | 15:50 | | 3 | 3.00 | 15 | | 1 | 11.25 | 168.75 | 1 | **11.25** |
| 44 | | სკოლაში წაყვანა | 9:00 | კურცობი - ორბელის საჯარო სკოლა | 3 | 3.00 | 15 | | 1 | 11.25 | 168.75 | 1 | **11.25** |
| 45 | | სკოლიდან წამოყვანა | 16:00 | | 3 | 3.00 | 15 | | 1 | 11.25 | 168.75 | 1 | **11.25** |
| 46 | | სკოლაში წაყვანა | 9:00 | ზედა ორბელი -ორბელის საჯარო სკოლა | 12 | 7.70 | 15 | | 1 | 28.88 | 433.13 | 1 | **28.88** |
| 47 | | სკოლიდან წამოყვანა | 14:00 | | 4 | 7.70 | 15 | | 1 | 28.88 | 433.13 | 1 | **28.88** |
| 48 | | სკოლიდან წამოყვანა | 16:00 | | 8 | 7.70 | 15 | | 1 | 28.88 | 433.13 | 1 | **28.88** |
| 49 | | სკოლაში წაყვანა | 9:00 | წილამიერი-ორბელის საჯარო სკოლა | 4 | 5.50 | 15 | | 1 | 20.63 | 309.38 | 1 | **20.63** |
| 50 | | სკოლიდან წამოყვანა | 14:00 | | 2 | 5.50 | 15 | | 1 | 20.63 | 309.38 | 1 | **20.63** |

კოეფიციენტი განისაზღვრება მთელი რიცხვებით).

*****სამარშრუტო კილომეტრის ფასი**

სამარშრუტო კილომეტრის ფასი არის მიმართულებისათვის გათვალისწინებული ერთი კილომეტრის ღირებულება. მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული გზების რაოდენობა სამარშრუტო კილომეტრის ფასზე გავლენას არ ახდენს

******გზების რაოდენობა**

გზების რაოდენობა განისაზაღვრება როგორც თითოეული გზა რომელიც მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს მოცემული მიმართულების შესასრულებლად. მაგ: თუ მიმწოდებელი პირველ მიმართულებას ასრულებს ერთი სატრანსპორტო საშუალებით, ამ პოზიციაზე უნდა ჩაწეროს 1. თუ 2 სატრანსპორტო საშუალებით 2 და.ა.შ. შემოთავაზებული გზების რაოდენობა გავლენას არ ახდენს მარშრუტის დღიურ და მარშრუტის სრულ საორიენტაციო ღირებულებაზე

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 51 | | სკოლიდან წამოყვანა | 16:00 | | 2 | 5.50 | 15 | | 1 | 20.63 | 309.38 | 1 | **20.63** |
| 52 | სოფელ ზუბის საჯარო სკოლა | სკოლაში წაყვანა | 9:20 | მახურა-ისუნდერი - ზუბის საჯარო სკოლა | 2 | 7.50 | 15 | | 1 | 28.13 | 421.88 | 1 | **28.13** |
| 53 | | სკოლიდან წამოყვანა | 14:45 | | 2 | 7.50 | 15 | | 1 | 28.13 | 421.88 | 1 | **28.13** |
| 54 | | სკოლაში წაყვანა | 9:20 | კვერეშუალს უბანი-ზუბის საჯარო სკოლა | 5 | 2.10 | 15 | | 1 | 7.88 | 118.13 | 1 | **7.88** |
| 55 | | სკოლიდან წამოყვანა | 14:45 | | 5 | 2.10 | 15 | | 1 | 7.88 | 118.13 | 1 | **7.88** |
| 56 | სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლა | სკოლაში წაყვანა | 9:05 | სურმუში - ქვედა ლაილაში - ლაილაშის საჯარო სკოლა | 14 | 9.00 | 15 | | 1 | 33.75 | 506.25 | 1 | **33.75** |
| 57 | | სკოლიდან წამოყვანა | 15:50 | | 14 | 9.00 | 15 | | 1 | 33.75 | 506.25 | 1 | **33.75** |
| 58 | | სკოლაში წაყვანა | 9:05 | ღუ - ლაილაშის საჯარო სკოლა | 2 | 2.50 | 15 | | 1 | 9.38 | 140.63 | 1 | **9.38** |
| 59 | | სკოლიდან წამოყვანა | 15:50 | | 2 | 2.50 | 15 | | 1 | 9.38 | 140.63 | 1 | **9.38** |
| 60 | სოფელ ლაჯანის საჯარო სკოლა | სკოლაში წაყვანა | 9:20 | ზედა ლაჯანა-ლაჯანის საჯარო სკოლა | 9 | 4.50 | 15 | | 1 | 16.88 | 253.13 | 1 | **16.88** |
| 61 | | სკოლიდან წამოყვანა | 14:10 | | 5 | 4.50 | 15 | | 1 | 16.88 | 253.13 | 1 | **16.88** |
| 62 | | სკოლიდან წამოყვანა | 16:00 | | 4 | 4.50 | 15 | | 1 | 16.88 | 253.13 | 1 | **16.88** |
| 63 | | სკოლაში წაყვანა | 9:00 | უსახელო - ლაჯანის საჯარო სკოლა | 4 | 2.50 | 15 | | 1 | 9.38 | 140.63 | 1 | **9.38** |
| 64 | | სკოლიდან წამოყვანა | 16:00 | | 4 | 2.50 | 15 | | 1 | 9.38 | 140.63 | 1 | **9.38** |
| 65 | ზურაბ ეფაძის სახელობის სოფელ ჩხუტელის საჯარო სკოლა | სკოლაში წაყვანა | 9:20 | ლასხანა - წულოვანის უბანი - ჩხუტელის საჯარო სკოლა | 5 | 5.20 | 15 | | 1 | 19.50 | 292.50 | 1 | **19.50** |
| 66 | | სკოლიდან წამოყვანა | 15:20 | | 5 | 5.20 | 15 | | 1 | 19.50 | 292.50 | 1 | **19.50** |
| 67 | | სკოლაში წაყვანა | 9:20 | გორის უბანი - ჩხუტელის საჯარო სკოლა | 1 | 5.20 | 15 | | 1 | 19.50 | 292.50 | 1 | **19.50** |
| 68 | | სკოლიდან წამოყვანა | 14:00 | | 1 | 5.20 | 15 | | 1 | 19.50 | 292.50 | 1 | **19.50** |
| 69 | სოფელ ღვირიშის საჯარო სკოლა | სკოლაში წაყვანა | 9:30 | ცხუკუშერი - ქვედა ღვირიში - ღვირიშის საჯარო სკოლა | 2 | 7.00 | 15 | | 1 | 26.25 | 393.75 | 1 | **26.25** |
| 70 | | სკოლიდან წამოყვანა | 16:00 | | 2 | 7.00 | 15 | | 1 | 26.25 | 393.75 | 1 | **26.25** |
| 71 | | სკოლაში წაყვანა | 9:45 | სანორჩი - ნასპერი - ღვირიშის საჯარო სკოლა | 9 | 7.00 | 15 | | 1 | 26.25 | 393.75 | 1 | **26.25** |
| 72 | | სკოლიდან წამოყვანა | 16:20 | | 9 | 7.00 | 15 | | 1 | 26.25 | 393.75 | 1 | **26.25** |
| 73 | | სკოლაში წაყვანა | 9:55 | უცხერი - ღვირიშის საჯარო სკოლა | 9 | 4.00 | 15 | | 1 | 15.00 | 225.00 | 1 | **15.00** |
| 74 | | სკოლიდან წამოყვანა | 16:45 | | 9 | 4.00 | 15 | | 1 | 15.00 | 225.00 | 1 | **15.00** |
| 75 | სოფელ ოყურეშის საჯარო სკოლა | სკოლაში წაყვანა | 9:20 | ყელიერის უბანი - ზედა ოყურეში - ოყურეშის საჯარო სკოლა | 18 | 3.00 | 15 | | 1 | 11.25 | 168.75 | 1 | **11.25** |
| 76 | | სკოლიდან წამოყვანა | 16:25 | | 18 | 3.00 | 15 | | 1 | 11.25 | 168.75 | 1 | **11.25** |
| 77 | | სკოლაში წაყვანა | 9:15 | სანორჩი - ნასპერის საჯარო | 4 | 2.50 | 15 | | 1 | 9.38 | 140.63 | 1 | **9.38** |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 78 | სოფელ ნაპერის საჯარო სკოლა | სკოლიდან წამოყვანა | 14:50 | სკოლა | 4 | 2.50 | 15 | | 1 | 9.38 | 140.63 | 1 | **9.38** |
| 79 | | სკოლაში წაყვანა | 9:25 | გორის კუთხე - ნასპერის საჯარო სკოლა | 2 | 3.00 | 15 | | 1 | 11.25 | 168.75 | 1 | **11.25** |
| 80 | | სკოლიდან წამოყვანა | 13:45 | | 2 | 3.00 | 15 | | 1 | 11.25 | 168.75 | 1 | **11.25** |
| 81 | სოფელ უსახელოს საჯარო სკოლა | სკოლაში წაყვანა | 9:20 | გამოღმა უცხერი - უსახელოს საჯარო სკოლა | 2 | 2.50 | 15 | | 1 | 9.38 | 140.63 | 1 | **9.38** |
| 82 | | სკოლიდან წამოყვანა | 15:30 | | 2 | 2.50 | 15 | | 1 | 9.38 | 140.63 | 1 | **9.38** |
| 83 | სოფელ ტვიშის საჯარო სკოლა | სკოლაში წაყვანა | 9:15 | მექვენა - ტვიშის საჯარო სკოლა | 4 | 10.00 | 15 | | 1 | 37.50 | 562.50 | 1 | **37.50** |
| 84 | | სკოლიდან წამოყვანა | 15:20 | | 4 | 10.00 | 15 | | 1 | 37.50 | 562.50 | 1 | **37.50** |
| 85 | | სკოლაში წაყვანა | 9:15 | ორხვი-ტვიშის საჯარო სკოლა | 4 | 4.50 | 15 | | 1 | 16.88 | 253.13 | 1 | **16.88** |
| 86 | | სკოლიდან წამოყვანა | 15:20 | | 4 | 4.50 | 15 | | 1 | 16.88 | 253.13 | 1 | **16.88** |
| 87 | სოფელ ლუხვანოს საჯარო სკოლა | სკოლაში წაყვანა | 9:25 | ზედა ლუხვანო - ლუხვანოს საჯარო სკოლა | 5 | 3.50 | 15 | | 1 | 13.13 | 196.88 | 1 | **13.13** |
| 88 | | სკოლიდან წამოყვანა | 14:30 | | 5 | 3.50 | 15 | | 1 | 13.13 | 196.88 | 1 | **13.13** |
| 89 | სოფელ აღვის საჯარო სკოლა | სკოლაში წაყვანა | 9:05 | ზედა აღვი -ჩაიდერი- აღვის საჯარო სკოლა | 1 | 3.30 | 15 | | 1 | 12.38 | 185.63 | 1 | **12.38** |
| 90 | | სკოლიდან წამოყვანა | 14:15 | | 1 | 3.30 | 15 | | 1 | 12.38 | 185.63 | 1 | **12.38** |
| 91 | | სკოლაში წაყვანა | 9:30 | ქვედა აღვი - აღვის საჯარო სკოლა | 3 | 1.50 | 15 | | 1 | 5.63 | 84.38 | 1 | **5.63** |
| 92 | | სკოლიდან წამოყვანა | 14:15 | | 3 | 1.50 | 15 | | 1 | 5.63 | 84.38 | 1 | **5.63** |
| 93 | | სკოლაში წაყვანა | 9:25 | ქვახურელი - აღვის საჯარო სკოლა | 4 | 1.80 | 15 | | 1 | 6.75 | 101.25 | 1 | **6.75** |
| 94 | | სკოლიდან წამოყვანა | 14:30 | | 4 | 1.80 | 15 | | 1 | 6.75 | 101.25 | 1 | **6.75** |
| 95 | სოფელ თაბორის საჯარო სკოლა | სკოლაში წაყვანა | 9:20 | სურმუში-თაბორის საჯარო სკოლა | 4 | 4.00 | 15 | | 1 | 15.00 | 225.00 | 1 | **15.00** |
| 96 | | სკოლიდან წამოყვანა | 15:00 | | 4 | 4.00 | 15 | | 1 | 15.00 | 225.00 | 1 | **15.00** |
| 97 | სოფელ მახაშის საჯარო სკოლა | სკოლაში წაყვანა | 9:45 | კითხიჯის უბანი-მახაშის საჯარო სკოლა | 2 | 1.70 | 15 | | 1 | 6.38 | 95.63 | 1 | **6.38** |
| 98 | | სკოლიდან წამოყვანა | 15:00 | | 2 | 1.70 | 15 | | 1 | 6.38 | 95.63 | 1 | **6.38** |